განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

16/12/2024

MES 3 24 0001615531

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ საგარეჯოს
საგანმანათლებლო რესურსცენტრს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შემოსული თქვენი N1527924 27/11/2024წ. წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სსიპ - ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლამ, **ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში (ბალანსზე) რიცხული დემონტაჟს დაქვემდებარებული, ამორტიზებული შენობების (ს/კ 55.10.55.000.113: საქვაბეზე მიდგმული ნაგებობა - N02 და საპირფარეშო ნაგებობა - N03) ჩამოწერა, დემონტაჟი და საბუღალტრო, სააღრიცხვო ჩანაწერებიდან მოხსნა (ძირითადი აქტივების ღირებულებასა და დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,** კერძოდ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შესაბამისი მომსახურების ცენტრის თანხმობისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნებართვის საფუძველზე, ასევე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილებით დამტკიცებული „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების მე-7 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის“ გათვალისწინებით.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროცესების (ჩამოწერა/დემონტაჟი) განხორციელება წარმოადგენს იმ სახელმწიფო დაწესებულების (აღმასრულებელი, საკანონმდებლო,

სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები) ვალდებულებას, რომელსაც სარგებლობაში აქვს გადაცემული ჩამოწერა/დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობები.

ამასთან, დემონტაჟი საჭიროა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დემონტაჟის დასრულების შემდგომ, საჯარო სკოლამ უნდა განახორციელოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა) და ცვლილებების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს სამინისტროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შემდგომ დაგეგმილია მშენებლობის პროცესი, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მშენებლობის პროცესის დასრულების შემდეგ და სამინისტროში წარმოდგენილ იქნას, ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ